European Bank for Reconstruction and Development

# რუსთავის აზოტი - ინდორამა

| | |
|---|---|
| **ქვეყანა:** | საქართველო |
| **პროექტის ნომერი:** | 55682 |
| **ბიზნეს სექტორი:** | წარმოება & სერვისები |
| **შეტყობინების ტიპი:** | კერძო |
| **გარემოს დაცვის კატეგორია:** | B |
| **სასურველი დამტკიცების თარიღი:** | 7 მაისი 2025 |
| **სტატუსი:** | კვლევის ეტაპი |

## პროექტის აღწერა

65 მლნ აშშ დოლარამდე სესხი გამოიყოფა საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოების სს რუსთავის აზოტის („კომპანია“) სასარგებლოდ, რომელიც საქართველოში ქიმიკატების წამყვანი მწარმოებელია.

## პროექტის მიზნები

სესხის თანხა მოხმარდება: (i) ამონიუმის ფოროვანი გვარჯილის (LDAN) ახალი საწარმოს მშენებლობას რუსთავში, საქართველოში, არსებული ქარხნის ტერიტორიაზე; (ii) კაპიტალურ დანახარჯებს არსებული საწარმოს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისთვის და (iii) საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნებს.

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

ETI 60

გარდაქმნის ეფექტი უკავშირდება მწვანე მახასიათებლებს. პროექტი მოიცავს ინვესტიციებს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისათვის და ამონიუმის გვარჯილის წარმოების სიმძლავრის ჩანაცვლებას არსებულთან შედარებით ჰაერში ნაკლები ემისიებით.
მოსალოდნელია, რომ კაპიტალური დანახარჯები სრულად შეუწყობს ხელს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას (GET). შედეგად, მთლიანი სესხის GET წილი 85% იქნება. ინვესტიციები მსესხებელს

საშუალებას მისცემს მიაღწიოს მნიშვნელოვან გარემოს დაცვისა და საოპერაციო სარგებელს, მათ შორის, სათბურის გაზების (GHG) ემისიების შემცირებას, წყლის მოხმარების გაუმჯობესებასა და ამონიუმის გვარჯილის მტვრისა და ამიაკის (NHi) ჰაერის ემისიების შემცირებას. გარდა ამისა, ენერგოეფექტურობის ზომები შეამცირებს ენერგიის მოხმარებას, რაც ხელს შეუწყობს მდგრადობის გაუმჯობესებას და მოახდენს წარმოების პროცესების ოპტიმიზაციას. აღნიშნული ინვესტიციის ფარგლებში, CO2 ემისია შემცირდება 8,200 ტონით წელიწადში, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიური ნაკვალევის შემცირებას. გარდა ამისა, წყლის მოხმარება შემცირდება 2 000 000 მ3-ით და ნაწილაკების (PM) გამონაბოლქვი შემცირდება 5 ტონით წელიწადში.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

JSC RUSTAVI AZOT

სს რუსთავის აზოტი ქიმიკატების წამყვანი და აზოტოვანი სასუქების ერთადერთი მწარმოებელია საქართველოში. კომპანია საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს სამრეწველო საწარმოა, რომელშიც 2,000-მდე ადამიანია დასაქმებული. რუსთავი აზოტი ეკუთვნის ინდორამას(Indorama Corporation), სინგაპურში დაფუძნებულ საერთაშორისო კონგლომერატს.

## EBRD-ის დაფინანსების ჯამი

65 000 000.00 აშშ დოლარი

EBRD-ის სესხი დააფინანსებს პროექტის მთლიანი ხარჯების 75%-ს, დანარჩენს დაფარავს კომპანია.

## პროექტის მთლიანი ღირებულება

87,000,000.00 აშშ დოლარი

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია B (ESP 2019). ბანკის ინვესტიცია ბრაუნფილდის ამონიუმის გვარჯილის საწარმოო ხაზში, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასა და ჩამდინარე წყლების დამუშავების მცირე ერთეულებში დაკავშირებულია გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) კუთხით ადგილობრივ ზემოქმედებასთან, რაც შესაძლებელია შეფასდეს და შემცირდეს E&S მართვის შესაბამისი პრაქტიკის დანერგვით. გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები (ESDD) ჩატარდა გარე კონსულტანტის მიერ და მოიცავდა მიმდინარე ოპერაციების, საწარმოს მთლიანი E&S მართვის სისტემის და ახალი ინვესტიციების სპეციფიკური რისკის პროფილის მიმოხილვას. პროექტის ნებართვის გაცემის პროცესი მიმდინარეობს და კლიენტი მუშაობს გზშ-ზე. პროექტს ექნება დადებითი შედეგი ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების, ენერგოეფექტურობის, ჩამდინარე წყლების გაწმენდისა და საწარმოს მიერ სათბურის გაზების გამოყოფის კუთხით.

ESDD-მ დაადასტურა, რომ კლიენტს აქვს ინსტიტუციური შესაძლებლობა შეასრულოს ბანკის შესრულების მოთხოვნები (PR). კომპანიას აქვს მოქმედი E&S, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (H&S) და ადამიანური რესურსების მართვის ყოვლისმომცველი სისტემები, მეტწილად EBRD-ის PR-ებთან შესაბამისობაში, რომლებიც საჭირო იქნება საწარმოსათვის და გამოყენებული იქნება

პროექტის ფარგლებში. საჭირო იქნება შესაბამისი სასწავლო პროგრამის შემუშავება HSSE მართვის ინტეგრირებულ სისტემასთან დაკავშირებით და დაქირავებული იქნება დამატებითი რესურსები ადგილზე მომუშავე პერსონალის მხარდასაჭერად. კლიენტს აქვს მიწოდების ჯაჭვის მართვის შეზღუდული პროცედურები, რომლებიც უნდა გაძლიერდეს E&S სკრინინგისა და მონიტორინგის საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს კონტრაქტორების მართვას ახალი აქტივების მშენებლობისთვის. კლიენტს ასევე აქვს ყოვლისმომცველი შრომითი პროცედურები, თუმცა მოეთხოვება შიდა საჩივრების მექანიზმის ფორმალიზება იმისათვის რომ სრულად შეესაბამებოდეს EBRD-ის PR2-ს. ვინაიდან გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობები პროექტის ფარგლებში უკვე აშენებულ საცხოვრებლებში თანამშრომლებისათვის, კლიენტს მოეთხოვება შეიმუშაოს მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ჩარჩო EBRD-IFC სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად (2009) სამუშაო ძალის განთავსებასთან დაკავშირებით.

ნარჩენების, ჩამდინარე წყლებისა და ჰაერის დაბინძურების მართვისა და მონიტორინგის გეგმები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და უნდა განახლდეს ევროკავშირის საუკეთესო ხელმისაწვდომი მეთოდიკის შესაბამისად. ასევე საჭირო იქნება სახიფათო მასალის უსაფრთხო შენახვის პროცედურების შემუშავება როგორც მშენებლობის ეტაპისათვის, ასევე საწარმოს მთლიანი ფუნქციონირებისთვის. აღნიშნული მოემსახურება ნიადაგის დაბინძურების პრევენციას და სამუშაო ძალის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. კომპანია ასევე შეიმუშავებს წყლის ბალანსს.

არსებული პროფესიული H&S პროცედურები, რომლებიც ამჟამად შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, უნდა განახლდეს EBRD PR4-თან შესაბამისად. საგანგებო ვითარების ყოვლისმომცველი პროცედურები უკვე მოქმედია და განახლდება ევროკავშირის SEVESO დირექტივის შესაბამისად. მომზადდება მოძრაობის მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს სამშენებლო უბნებსა და სრულად ქარხნის საოპერაციო საქმიანობას. სათემო H&S მენეჯმენტის გეგმა უკვე მოქმედებს ქარხნისთვის და განახლდება, რათა მოიცავდეს უახლოეს პოტენციურ ზემოქმედების ქვეშ მყოფთ (ფერმერები და მიწის არაფორმალური მომხმარებლები).

პროექტიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებაზე ნეგატიური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. თუმცა, ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-საბაზისო ცოდნა შემუშავდება საწარმოს გავლენის ზონაში და მომზადდება მართვის კონკრეტული გეგმა, იმ შემთხვევაში თუ მთლიანი აქტივობა უარყოფითად იმოქმედებს რომელიმე მახასიათებელზე.

საწარმოსათვის უკვე შემუშავებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა განახლდება პროექტის აქტივობებისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების აღსაწერად. კლიენტი მოამზადებს გამჭვირვალობის პოლიტიკას და ვალდებულებას აიღებს გააზიაროს საწარმოს ოპერაციებთან დაკავშირებული E&S მონაცემები. საწარმოს საქმიანობის მოქმედი გარე საჩივრების მექანიზმი განახლდება EBRD PR10-თან შემდგომი შესაბამისობისთვის.

ESAP შემუშავდება და შეთანხმდება კლიენტთან საბჭოზე განხილვამდე, რაც უზრუნველყოფს კორპორატიულ და ადგილობრივ დონეზე გაუმჯობესებას. კლიენტმა ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს ბანკს ანგარიში პროექტის E&S შესრულების და ESAP-ის პროგრესის შესახებ. გარდა ამისა, ბანკი დაეყრდნობა თანაკრედიტორებს და მესამე მხარის E&S მონიტორინგს.

## ტექნიკური თანამშრომლობა

გარე კონსულტანტის ჩართვას გარემოს დაცვისა და სოციალური კვლევის ჩასატარებლად ხელი შეუწყო EBRD-ის აქციონერთა სპეციალურმა ფონდმა (SSF).

## დამატებითი ფაქტორები

დაფინანსების სტრუქტურა: EBRD უზრუნველყოფს დიდი მოცულობის ინსტრუმენტს, რომელიც საჭიროა პროექტის სტრუქტურირებისთვის.

რისკის მართვა: EBRD-ის გრძელვადიანი ურთიერთობა Indorama Corporation-თან კომფორტს უქმნის კომპანიას, რომ მან აიღოს მეტი რისკი და გაზარდოს ინვესტიციები საქართველოში, რომელიც მათთვის შედარებით ახალი ბაზარია.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ჯეი პრაკაშ ჯაჯუ jay.jajoo@indorama.com
+995577334440
https://rustaviazot.ge/
მშვიდობის ქ.2, 3700, რუსთავი, საქართველო